10 ქულიანი საკითხები

1. **სანივთო სამართლის ცნება და მისი ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში.**

   ქართული სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა სანივთო სამართლის ცნებას. სამაგიეროდ, კოდექსში მოცემულია ცალკეულ სანივთო უფლებათა განსაზღვრებანი. დოქტრინის მიხედვით, სანივთო სამართალი წარმოადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს პირთა ურთიერთობებს ნივთებთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სანივთო სამართალი არის სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ სასაქონლო სიკეთეებზე ადამიანთა და იურიდიულ პირთა ბატონობის პირობებს. ეს განსაზღვრება არ გამორიცხავს პირთა შორის ურთიერთობას, მაგრამ პირის ნივთთან ურთიერთობა წარმოადგენს სანივთო სამართლის სუბსტანციას. სანივთო სამართლის ინსტიტუტებს წარმოადგენს: უზუფრუქტი, სერვიტუტი, აღნაგობა, იპოთეკა. გირავნობა კი ვალდებულებით სამართალში თავსდება. საკუთრება ერთობ ვიწროვდება დროთა განმავლობაში და ასე ქრება სამოქალაქო ბრუნვიდან სანივთო სამართალი. სანივთო სამართალი სამოქალაქო კოდექსის განუყოფელი ნაწილია. მარტო მეორე წიგნი როდი მოიცავს ყველა სანივთო-სამართლებრივ დებულებებს. ბევრ მათგანს სხვა წიგნებში და სპეციალურ კანონებში ვხვდებით. ამიტომაც, ჩვენთან სანივთო სამართლის ცალკე კოდიფიკაციის საკითხი არ დასმულა. სანივთო სამართალი მრავალი თავისებურებებით ხასიათდება, რითაც იგი განსხვავდება ვალდებულებითი სამართლისაგან. ამას საფუძველი ჯერ კიდევ რომის სამართალში ჩაეყარა, როდესაც გაიმიჯნა სანივთო და ვალდებულებითი უფლებათა დაცვის საშუალებანი. რომაელი იურისტების განმარტებით, მთავარი სანივთო უფლება (საკუთრება), წარმოადგენს ნივთის მიმართ უშუალო ბატონობის გამოვლინებას. მაშინ როცა ვალდებულება, გულისხმობს არა იმას, რომ ესა თუ ის საგანი ჩვენი გავხადოთ, არამედ იმას, რომ სხვა

გავხადოთ ჩვენთან დაკავშირებული. სწორედ ამ განსხვავებაზე აიგო მათი დაცვის საშუალებანი, როგორიცაა პირადი და სანივთო სარჩელები. სანივთო უფლება აბსოლუტური უფლებაა, ვალდებულებითი კი-შეფარდებითი (რელატიური). ეს კი იმას ნიშნავს, რომ აბსოლუტური უფლების მატარებლის წინაშეა ყველა პირი, როგორც ვალდებული პირი, მაშინ როცა რელატიური უფლების მატარებელს უპირისპირდება განსაზღვრული პირი, როგორც კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი. სანივთო უფლება, რომელიც ყველა მესამე პირის მიერ უნდა იქნეს ცნობილი, ხელყოფის შემთხვევაში დაცულია სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩელებით. სანივთო უფლებათა აბსოლუტურობის გარანტიაა ასევე ნივთის დაზიანების შემთხვევაში დელიქტური სარჩელების გამოყენება. აბსოლუტური ურთიერთობა მყარდება სამართლის ნორმატიული ნების საფუძველზე, შეფარდებითი კი - ძირითადად ურთიერთობის მონაწილეთა ნების საფუძველზე. სანივთო უფლებები „Numerus Clausas“-ს პრინციპითაა განსაზღვრული, ეს იმას ნიშნავს, რომ სანივთო უფლებათა წრე კანონით არის შემოფარგლული. არსებობს იმდენი სანივთო უფლება, რამდენიც კანონითაა აღიარებული, ესენია: საკუთრება, აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი, გირავნობა, იპოთეკა. ვალდებულებითი სამართალი თავისუფალია ასეთი იმპერატიული ფორმულირებებისგან. სანივთო უფლებას ახასიათებს მიდევნების (მიყოლის) თვისება, რაც იმას ნიშნავს, რომ სანივთო უფლება მიჰყვება ნივთს, როცა იგი სხვა პირის ხელში გადადის. მაგალითად: თუ ნივთზე საკუთრების უფლება სრვიტუტით ან გირავნობითაა დატვირთული, ნივთის ახალი მესაკუთრის ხელშიც იგივე მდგომარეობა იქნება. სანივთო სამართალში „დუალიზმის“ საკითხია წამოჭრილი, რომლის მიხედვითაც მკაცრად უნდა გაიმიჯნოს ორი სხვადასხვა სახის ურთიერთობა. ა) ურთიერთობა კრედიტორსა და მოვალეს შორის. მისი დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ მოვალის მხრიდან. ბ) ურთიერთობა კრეტიდორსა და ყველა მესამე პირს შორის. მისი დარღვევა ყველასგანაა მოსალოდნელი. სანივთო სამართლის თვისებად გერმანულ დოქტრინაში მიჩნეულია მისი სპეციალურობა. ეს ნიშნავს, რომ

სანივთო უფლებები შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრული ნივთების მიმართ. ამიტომაც აქ ზოგადად კიარ უნდა იყოს ნივთებზე საუბარი, არამედ კონკრეტულად. აღნიშნულიდან გამომდინარე სანივთო უფლებები პრიორიტეტულია ვალდებულებით უფლებებთან შედარებით. მათ შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა სანივთო უფლებას. რაც შეეხება თვით სანივთო უფლებათა შორის კოლიზიას-ასეთი რამ შესაძლებელია ერთი რანგის უფლებათა შორის. მაგ: ერთი საგანი რამდენჯერმეა ადტვირთული იპოთეკით. უპირატესობა ენიჭება პირველ იპოთეკარს. სანივთო და ვალდებულებითი უფლებები სარგებლობის თავისუფლების ფარგლებითაც განსხვავდებიან. სანივთო უფლებების ფარგლები გაცილებით ფართოა, ვიდრე ვალდებულებითისა.

2. სანივთო სამართლის სისტემა

ქართულ სამოქალაქო კოდექსში სანივთო (ქონებრივ) სამართალს ეთმობა მეორე წიგნი. თავის მხრივ სანივთო სამართალიც იყოფა კარებად. სანივთო სამართალი წარმოადგენს ლოგიკურად შეკრულ, ერთიან ორგანიზმს. ის მოიცავს ქონებას, მფლობელობას, სხვა სანივთო უფლებებსა და საჯარო რეესტრის როლს. პირველი კარი ეთმობა ქონებას. ქონებად მიჩნეულია არამარტო ყველა ნივთი, არამედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებიც. განსხვავებით გერმანული სამოქალაქო კოდექსისაგან, რომელიც ნივთებად მხოლოდ სხეულებრივ საგნებს მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო კოდექსი ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს არ აიგივებს ერთმანეთთან. ნელ-ნელა სამოქალაქო ბრუნვაში მტკიცედ მკვიდრდება იმის შეგნება, რომ საკუთრების საგანი შეუძლება იყოს არა მხოლოდ სხეულებრივი ნივთები, არამედ უსხეულო ნივთებიც. სამოქალაქო კოდექსმა აღადგინა ნივთების კლასიკური დაყოფა მოძრავ და უძრავ ნივთებად. უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები,

ასევე შენობა ნაგებობები. მოძრავი ნივთის დეფინიციას არ გვაძლევს სამოქალაქო კოდექსი. შესაბამისად მოძრავია ის რაც უძრავი არაა. არსებობს ასევე იურიდიული ფიქცია, რომლის მიხედვითაც მოძრავი ნივთი შეიძლება ჩაითვალოს უძრავ ნითად. ამ შემთხვევაში ნივთი კვლავაც მოძრავად რჩება, უბრალოდ როგორც უფლება-მოვალეობებით დატვირთული საგანი, განიხილება უძრავ ნივთად. მაგ: სამხედრო ხომალდი. მეორე კარი ეთმობა მფლობელობას. მოქმედი სამოქალაქო კოდექსი მფლობელობას განმარტავს, როგორც ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვების მდგომარეობა. თუმცა, ყველა ფაქტობრივი მებატონე როდი შეიძლება ჩაითვალოს მფლობელად. კოდექსის მიხედვით მფლობელად არ ჩაითვლება პირი, რომელიც სხვის სასარგებლოდ ახორციელებს მას, არამედ ის, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება. ფლობელობა იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ მფლობელობად. ამრიგად, სამოქალაქო კოდექსი უშვებს ორმაგ მფლობელობას, რაც ნიშნავს რომ, მფლობელობა ფაქტია და არა უფლება.საკუთრების უფლება, როგორც მთელი, შედგება მფლობელობის უფლებისაგან. როგორც ნაწილისაგან. ეს ისეთი უფლებაა, რომელიც მთელშიცაა და შეიძლება მის გარეთაც ვიხილოთ. რადგანაც მფლობელობა ფაქტია, მის უკან შეიძლება იდგეს სხვადასვა სანივთო და ვალდებულებითი უფლებები. მის უკან მდგარი უფლების გარეშე ის სხვა არაფერია, თუარა ნივთზე შიშველი ბატონობის უფლება. სამოქალაქო კოდექსი მფლობელობაში ხედავს საკუთრების აჩრდილს და განამტკიცებს შემდეგ პრინციპს: ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. ეს დაშვებულია მხოლოდ მოძრავი ნივთების შემთხვევაში. უძრავი ნივთების მაგალითზე მოქმედებს საჯარო რეესტრის უტყუარობის და სისწორის პრეზუმფცია. საკუთრების ვარაუდთან დაკავშირებით მფლობელის კეთილსინდისიერება სამოქალაქო ბრუნვის პრინციპია, ხოლო შესაძლო არაკეთილსინდისიერება მისი დამახასიათებელი ნორმალური რისკი. ასევე აღნიშვნის ღირსია ხანდაზმულობით საკუთრების შეძენის ინსტიტუტის არსებობა. მოძრავი ნივთების შემთხვევაში საჭიროა 5 წლიანი კეთილსინდისიერი ფლობა, უძრავის

შემთხვევაში 15.
მესამე კარი ეთმობა საკუთრებას და სხვა სანივტო უფლებებს. კოდექსის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ უარია ნათქვამი საკუთრების ფორმებზე. საკუთრება გაგებულია, როგორც ერთიანი ცნება, რომლის მიმართაც ყველა მესაკუთრე თანასწორია. ასევე საკუთრების სოციალურმა გაგებამ დაიდო ბინა კოდექსში. საკუთრების უფლება ზომიერადაა სოციალური ფუნქციით დატვირთული. სსკ-ში საკუთრება გაგებულია, როგორც კანონისმიერი და სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში არსებული ფასეულობა. ფაქტიურად მიღებულია დანაწესი, რომ საკუთრება ავალდებულებს. თანამედროვე სსკ-ის მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია მაგ: ბინის ქირავნობის შეწყვეტა, მხოლოდ პატივსადები მიზეზის შემთხვევაში. ასევე ეს საკუთრების უფლება სოციალური ფუნქციითაც არი დატვირთული, და ხშირად დამქირავებელს ამის გათვალისწინებით, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც აძელვენ ბინაში დარჩენის უფლებას. ასევე ამ კარში გვხვდება სამეზობლო სამართალი. რომლის მიზანიცაა მშვიდობა ჩამოაგდოს მეზობელთა შორის ურთიერთობაში. სიახლედ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევს საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებას. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც ზიანი მხოლოდ სხვას ადგებათ, ისე რომ მოქმედების აუცილებლობა არაა სახეზე. რაც შეეხება აღნაგობის უფლებას, ის გამოიყენება მაშინ, როდესაც პირი სხვის ნაკვეთზე აღმართულ ნაგებობაზე საკუთრებას ვერ იძენს, მაგრამ მესაკუთრის ყველა უფლებამოსილება გააჩნია მას. უზუფრუქტი მაშინ გვხვდება, როდესაც სახელმწიფო მაგალითად საკუთარ ქონებას გადასცემს არამესაკუთრეს. შეეხება უძრავ ნივთებს მხოლოდ. სერვიტუტი კიდევ სხვის საკუთრებაზე შეზღუდული უფლების არსებობას გულისხმობს, მაგალითად გზის უფლება.
მეოთხე კარი ეთმობა საჯარო რეესტრის როლს. ამ ნაწილში საუბარია საჯარო რეესტრის დანიშნულებაზე, რეესტრში გარიგების წარდგენის წესზე და მის უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფციაზე.

3. სანივთო სამართლის პრინციპები

ზოგადად, როგორც თანამედროვე ევროპული სამოქალაქო სამართალი, ისე სანივთო სამართალიც რომაული სამართლის რეცეფციის შედეგია. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულის სანივთო სამართალი ყველაზე მეტ მსგავსებას გერმანულ სანივთო სამართალთან პოულობს, მაგრამ მისგან განსხვავებით, იგი გაცილებით მარტივად და თანამედროვედ გამოიყურება. სანივთო სამართალის პრინციპების გამოიყენება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი გამოიყენება სამართალშეფარდების პროცესში. სანივთო უფლებები „numerus Clausas"-ს პრინციპითაა განსაზღვრული, ეს იმას ნიშნავს, რომ სანივთო უფლებათა წრე კანონით არის შემოფარგლული. არსებობს იმდენი სანივთო უფლება, რამდენიც კანონითაა აღიარებული, ესენია: საკუთრება, აღნაგობა, სერვიტუტი, უზურფრუქტი, გირავნობა, იპოთეკა. ვალდებულებითი სამართალი თავისუფალია ასეთი იმპერატიული ფორმულირებებისგან. ასევე, სანივთო სამართალში არსებობს სანივთო უფლებათა აბსოლუტურობის პრინციპი,რაც იმას ნიშნავს, რომ სანივთო უფლება აბსოლუტური უფლებაა, ვალდებულებითი კი - შეფარდებითი (რელატიური). ეს იმას ნიშნავს, რომ აბსოლუტური უფლების მატარებლის წინაშეა ყველა პირი, როგორც ვალდებული პირი. ხოლო შეფარდებითი უფლების მატარებელს უპირისპირდება განსაზღვრული პირი, როგორც კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი (მაგალითად, ქირავნობის შემთხვევაში). აბსოლუტური ურთიერთობა მყარდება სამართლის ნორმატიული ნების საფუძველზე, ხოლო რელატიური ურთიერთობა მყარდება ძირითადად, ურთიერთობის მონაწილეთა ნების საფუძველზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სანივთო სამართალში გამოიყენება საჯაროობის პრინციპი, რაც იმას გულისხმობს, რომ სანივთო უფლება ისეთი ფორმით გამოიხატება, რომ იგი ადვილად შესამჩნევი ხდება ყველა დაინტერესებული პირისთვის. მაგალითად, თუ პირი დაინტერესებულია რომელიმე

კონკრეტული პირის საკუთრებით, მას შეუძლია ეს ინფორმაცია საჯარო რეესტრის საშუალებით მოიპოვოს. სანივთო სამართალში გამოიყენება ნივთის მიდევნების თვისებაც, რაც იმას ნიშნავს, რომ სანივთო უფლება მიჰყვება ნივთს, როცა იგი სხვა პირის ხელში გადადის. მაგალითად: თუ ნივთზე საკუთრების უფლება სერვიტუტით ან გირავნობითაა დატვირთული, ნივთის ახალი მესაკუთრის ხელშიც იგივე მდგომარეობა იქნება. სანივთო სამართლის კიდევ ერთ თვისებად მიჩნეულია მისი სპეციალურობა. ეს ნიშნავს იმას, რომ სანივთო უფლებები შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრული ნივთების მიმართ. ამიტომ, ნივთებზე საუბარი უნდა იყოს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად. მაგალითად: არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ ა-ს აქვს უზურფრუქტის უფლება ბ-ს ქონებაზე. სწორი იქნებოდა, გვეთქვა, რომ ა-ს აქვს უზურფრუქტის უფლება ბ-ს საცხოვრებელ სახლზე.

4. ქონების ცნება

ქართული სამოქალაქო კოდექსი ქონებად აღარებს არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც. ნივთების სპეციფიკური თვისებაა სხეულებრიობა. სულერთია, მატერია მყარ მდგომარეობაში იქნება, თხევადში თუ გაზობრივში. საგნები რომლებიც არავითარ მატერიას არ მიეკუთვნებიან ფიზიკურად, შესაბამისად არც ნივთევთებს არ წარმოადგენენ. ასეთებია: სითბო, გამოსხივება. ისინი სასამართლო პრაქტიკაშიც არაა მიჩნეული ნივთებად. ნივთები პიროვნულობას მოკლებული საგნებია. ფიზიკური აზრით, ადამიანის სხეული მატერიას კი მიეკუთვნება, მაგრამ ნივთს არ წარმოადგენს, რადგანაც იგი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. ამდებად, ნივთები ბრუნვა-უნარიანი საგნებია. სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს უნა შეეძლოთ მათი თავისუფალი შეძენა, თუკი ეს არ იქნება კანონით აკრძალული ან არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს. ამ შემთხვევაში ცოცხალი ადამიანის სხეულს

მოცილებული ნაწილები შეიძლება ნივთებად განვიხილოთ. გვამი კი მანამ არ იქნება ნივთი, სანამ ის პიროვნებას განასახიერებს. ნივთები არის პირთა ბატონობობას დაქვემდებარებული საგნები, რადგან შეიძლება მათი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. შესაბამისად რაც ამ ბატონობას მოკლებულია არ მიიჩნევა ნივთებად: წყალი ზრვაში, მზე, ვარსკვლავები... ამიტომ ნივთები ნატურით გამიჯნული საგნებია. თუნდაც გაზი და სითხე მაშინ იქცევა ნივთებად თუ მათ რაიმე საგანში მოვათავსებთ ანუ სივრცობრივად შემოვფარგლავთ. აღნიშნული არ ეხება მიწის ნაკვეთს, რომელიც ცალკე ნაკვეთად მიიჩნევა მაშინაც, როცა შედგება ერთმანეთისგან გაუმიჯნავი ნაწილებისგან. ნივთები სხეულებრივად ერთიანი საგნებია და ეს მათ ფუნქციონალურ ერთიანობას განაპირობებს. განვიხილოთ საყვავილეს მაგალითი: ის შედგება ქოთნის მიწის და ყვავილებისაგან, ხოლო მაგალითად ავტომობილი შედგება ძარის, საბურავები ძრავის და სხვა ნაწილებისგან. საყვავილეს შემთხვევაში თიოთოეული მისი ნაწილი დამოუკიდებელი მნიშვნელობით შეიძლება გამოვიყენოთ და საკუთრების უფლება გავრცელდება ცალკეულ ნივთებზე. საბურავებს ფუნქციონალური დატვირტვა კი მხოლოდ სხვა ნაწილებთან ურთიერთკავშირში ექნება და საკუთრება ფუნქციონალური საკუთრებით წარმოსდგება. სპეციალური მოწესრიგების საგანია საჯარო ნივთები.ისინი ბრუნვაში მყოფი სპეციფიკური ნივთებია, რომლებიც მიკუთვნებადობის აქტით საჯარო-სამართლებრივ წესებს ექვემდებარება, უფრო ზუსტად კი დუალისტურ წესრიგს დაქვემდებარებული ნივთებია. მაგალითად რომის სამართლის მიხედვით საჯარო ნივთები RES PIBLICAE ეკუთვნოდა რომაელ ხალხს და გამიზნული იყო საჯარო გამოყენებისათვის. იერინგის აზრით ადამიანზე ნივთების დამორჩილების ორი ფორმა არსებობს: კერძო საკუთრება და საჯარო სარგებლობა,რომელიც ნივთების საერთო სარგებლობას გულისხმობს. სხვა პოზიციის თანახმად საჯარო ნივთების მესაკუთრე სახელწიფოა. საჯარო ნივთების 5 სახეობა არსებობს: 1) საერთო სარგებლობაში არსებული საჯარო ნივთები- მიკუთვნების საჯარო-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ეს ნივთები იმყოფება

ყველას სარგებლობაში ყოველგვარი ნებართბვისა და თანხმობის გარეშე. ესენია: გზები,ქუჩები,ავტომაგისტრალები,ზღვის სანაპირო... 2) სპეციალური სარგებლობის საჯარო ნივთები- რომელთა გამოყენება ყველას კი არ შეუძლია, არამედ მათ ვისაც სპეციალური სახელმწიფო აქტის საფუძველზე აქვთ ასეთი უფლება.მაგალითად შიდა წყლები, მიწისქვეშა და სანაპირო წყლები.. 3) მმართველობის ორგანოთა სარგებლობაში არსებული საჯარო ნივთები- უშუალოდ სახელმწიფო მიზნებს და მოქალაქეთა ინეტერესებს ემსახურებიან. მაგალითად ადმინისტრაციული ნაგებობები.. 4) საჯარო უფლების მქონე დაწესებულებათა სარგებლობაში არსებული ნივთები- რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ მოქალაქეებს მხოლოს სპეციალური მოწმობის საფუძველზე.ესენია ბიბლიოთეკებში, სკოლებში, თეატრებსა და მუზეუმებში არსებული წიგნები, მერხები, სურათები და სხვა .. საჯარო უფლების მქონე დაწესებილებათა საჯარო ნივთების სამართლებრივი მდგომარეოა მოწესრიგებულია კომუნალური სამართლით. საჯარო ნივთების განსაკუთრებულ ჯგუფს მიეკუთვნება წმინდა ნივთები- რომელთა გამოყენებაც ღვთაებრივი მიზნებითაა შემოფარგლული. ესაა ნივთეი რომლებიხ სეწირულია რელიგიური ორგანიზაციებისათვის. არის ნივთები, რომელთა სამოქალაქო ბრუნვა შეზღუდულია საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინეტერესების, მოსახლების ჯანმრთელობის დაცვის საფუძველზე. ასეთი ნივთებია: იარაღი, ძლიერმოქმედი შხამიანი და ნარკოტიკული ნივთიერებები. მათ შესაძენად სპეციალური ნებართვაა საჭირო.

5. ნივთის ცნება და სახეები, ნივთის შემადგენელი ნაწილი

ქართული სამოქალაქო კოდექსი ქონებად აღარებს არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებსაც. ნივთების სპეციფიკური თვისებაა სხეულებრიობა. სულერთია, მატერია მყარ მდგომარეობაში იქნება, თხევადში თუ გაზობრივში. საგნები რომლებიც არავითარ მატერიას არ მიეკუთვნებიან

ფიზიკურად, შესაბამისად არც ნივთევთებს არ წარმოადგენენ. ასეთებია: სითბო, გამოსხივება. ისინი სასამართლო პრაქტიკაშიც არაა მიჩნეული ნივთებად. ნივთები პიროვნულობას მოკლებული საგნებია. ფიზიკური აზრით, ადამიანის სხეული მატერიას კი მიეკუთვნება, მაგრამ ნივთს არ წარმოადგენს, რადგანაც იგი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. ამდებად, ნივთები ბრუნვა-უნარიანი საგნებია. სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს უნა შეეძლოთ მათი თავისუფალი შეძენა, თუკი ეს არ იქნება კანონით აკრძალული ან არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს. ამ შემთხვევაში ცოცხალი ადამიანის სხეულს მოცილებული ნაწილები შეიძლება ნივთებად განვიხილოთ. გვამი კი მანამ არ იქნება ნივთი, სანამ ის პიროვნებას განასახიერებს. ნივთები არის პირთა ბატონობობას დაქვემდებარებული საგნები, რადგან შეიძლება მათი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. შესაბამისად რაც ამ ბატონობას მოკლებულია არ მიიჩნევა ნივთებად: წყალი ზრვაში, მზე, ვარსკვლავები... ამიტომ ნივთები ნატურით გამიჯნული საგნებია. თუნდაც გაზი და სითხე მაშინ იქცევა ნივთებად თუ მათ რაიმე საგანში მოვათავსებთ ანუ სივრცობრივად შემოვფარგლავთ. აღნიშნული არ ეხება მიწის ნაკვეთს, რომელიც ცალკე ნაკვეთად მიიჩნევა მაშინაც, როცა შედგება ერთმანეთისგან გაუმიჯნავი ნაწილებისგან. ნივთები სხეულებრივად ერთიანი საგნებია და ეს მათ ფუნქციონალურ ერთიანობას განაპირობებს. განვიხილოთ საყვავილეს მაგალითი: ის შედგება ქოთნის მიწის და ყვავილებისაგან, ხოლო მაგალითად ავტომობილი შედგება ძარის, საბურავები ძრავის და სხვა ნაწილებისგან. საყვავილეს შემთხვევაში თიოთოეული მისი ნაწილი დამოუკიდებელი მნიშვნელობით შეიძლება გამოვიყენოთ და საკუთრების უფლება გავრცელდება ცალკეულ ნივთებზე. საბურავებს ფუნქციონალური დატვირტვა კი მხოლოდ სხვა ნაწილებთან ურთიერთკავშირში ექნება და საკუთრება ფუნქციონალური საკუთრებით წარმოსდგება. სპეციალური მოწესრიგების საგანია საჯარო ნივთები.ისინი ბრუნვაში მყოფი სპეციფიკური ნივთებია, რომლებიც მიკუთვნებადობის აქტით საჯარო-სამართლებრივ წესებს ექვემდებარება, უფრო ზუსტად კი

დუალისტურ წესრიგს დაქვემდებარებული ნივთებია. მაგალითად რომის სამართლის მიხედვით საჯარო ნივთები RES PIBLICAE ეკუთვნოდა რომაელ ხალხს და გამიზნული იყო საჯარო გამოყენებისათვის. იერინგის აზრით ადამიანზე ნივთების დამორჩილების ორი ფორმა არსებობს: კერძო საკუთრება და საჯარო სარგებლობა,რომელიც ნივთების საერთო სარგებლობას გულისხმობს. სხვა პოზიციის თანახმად საჯარო ნივთების მესაკუთრე სახელწიფოა. საჯარო ნივთების 5 სახეობა არსებობს: 1) საერთო სარგებლობაში არსებული საჯარო ნივთები- მიკუთვნების საჯარო-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ეს ნივთები იმყოფება ყველას სარგებლობაში ყოველგვარი ნებართბვისა და თანხმობის გარეშე. ესენია: გზები,ქუჩები,ავტომაგისტრალები,ზღვის სანაპირო... 2) სპეციალური სარგებლობის საჯარო ნივთები- რომელთა გამოყენება ყველას კი არ შეუძლია, არამედ მათ ვისაც სპეციალური სახელმწიფო აქტის საფუძველზე აქვთ ასეთი უფლება.მაგალითად შიდა წყლები, მიწისქვეშა და სანაპირო წყლები.. 3) მმართველობის ორგანოთა სარგებლობაში არსებული საჯარო ნივთები- უშუალოდ სახელმწიფო მიზნებს და მოქალაქეთა ინეტერესებს ემსახურებიან. მაგალითად ადმინისტრაციული ნაგებობები.. 4) საჯარო უფლების მქონე დაწესებულებათა სარგებლობაში არსებული ნივთები- რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ მოქალაქეებს მხოლოს სპეციალური მოწმობის საფუძველზე.ესენია ბიბლიოთეკებში, სკოლებში, თეატრებსა და მუზეუმებში არსებული წიგნები, მერხები, სურათები და სხვა .. საჯარო უფლების მქონე დაწესებილებათა საჯარო ნივთების სამართლებრივი მდგომარეოა მოწესრიგებულია კომუნალური სამართლით. საჯარო ნივთების განსაკუთრებულ ჯგუფს მიეკუთვნება წმინდა ნივთები- რომელთა გამოყენებაც ღვთაებრივი მიზნებითაა შემოფარგლული. ესაა ნივთეი რომლებიხ სეწირულია რელიგიური ორგანიზაციებისათვის. არის ნივთები, რომელთა სამოქალაქო ბრუნვა შეზღუდულია საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინეტერესების, მოსახლების ჯანმრთელობის დაცვის საფუძველზე. ასეთი ნივთებია: იარაღი, ძლიერმოქმედი შხამიანი და ნარკოტიკული ნივთიერებები. მათ შესაძენად სპეციალური

ნებართვაა საჭირო. ნივთები იყოფა უძრავ და მოძრავ ნივთებად. კოდექსში განმარტებულია მხოლოდ უძრავი ნივთები. უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით,მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. შესაბამისად, მოძრავად უნდა ჩაითვალოს ყველა ის ნივთი რომელიც არ ითვლება უძრავად. მოძრავი ნივთის საჯარო რეესტრში გაფორმება, როგორც უძრავი ნივთი, მასზე ავრცელებს უძრავი ქონების სამართლებრივ რეჯიმს. ამ კანონისმიერ ფიქციას საფუძვლად უდევს საჯარო რეესტრის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები. კონტინენტურ სამართალში ცნობილია საჰაერო და საზღვაო ხომალდების უძრავ ნივთებად აღიარების მაგალითები. უძრავი ნივთების სამართლებრივი რეჯიმი განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონებით, რომელშიც იმყოფა, მოძრვი ნივთები კი შეიძლება იცვლიდეს თავის სამართლებრივ რეჯიმსაც. მოძრავი ნივთების შემთხვევაში საკუთრების პრეზუმფცია მფლობელობით ვლინდება, ხოლო უძრავისა საჯარო რეესტრიდან რაც იძლევა ამ ნივთის სამართლებრივი რეჯიმის სტაბილურობის გარანტიას. უძრავი და მოძრავი ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა. მოძრავი ქონების საგანს წარმოადგენს გირავნობა, ხოლო უძრავის- იპოთეკა. მოძრავი ნივთი შეიძლება გადაადგილდეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ადამიანის ხელით მის ძირითად თვისებებზე ვნების მიუყენებლად. თუ მოძრავი ნივთი ჩაერთვება უძრავი ნივთის კომპლექსში, იგი კარგავს მორავი ნივთის თვისებებს. ტრადიციულად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. ნივთები შეიძლება იყოს შეცვლადი და შეუცვლადი. ისინი ბევრად არ განსხვავდებიან გვაროვნული და ინდივიდუალური ნივთებისგან. შეცვლადია ისეთი მოძრავი ნივთები , რომელთა შეცვლა შეიძლება მსგავსი სახეობის ნაწილებით. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ეს ნივთები განისაზღვრებიან რაოდენობით , ზომით ან წონით. შეუცვლად ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთები, ინდივიდუალურად დამზადებული ნაკეთობანი... ამ ნივთების

შეუვლადობას განსაზღვრავს ბრუნვის ტრადიციები და არა მხარეთა ნება. ნივთები ასევე იყოფა გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნებით. ეს ნივთები კლასიფიცირდება ნაკისრი ვალდებულების ხასიათის მიხედვით. გვაროვნული ნივთის შემთხვევაში (რომლებიც რაოდენობით, ზომით ან წონით განსაზღვრული ნივთებია) ვალდებულება აუცილებლად უნდა შესრულდეს, ხოლო ინდივიდუალური ნივთის განადგურების შემთხვევაში ვალდებულების შესრულება შეუძლებელია. მოძრავი ნივთები ასევე იყოფა მოხმარებად და მოუხმარებად ნივთებად. იმ შემთხვევაში თუ ნივთი ერთჯერადი გამოყენების შედეგად ფუჭდება, ის მოხმარებადია.(საწვავი , საკვები) თუ ნივთი ხანგღძლივი გამოყენების შედეგად ისპობა ან მცირდება მისი ღირებულება, ის მოუხმარებადია.(შენობა-ნაგებობანი, ტანსაცმელი) სხვა სახის ნივთებს გაყოფადი და გაუყოფადი ნივთები წარმოადგენენ. თუ ნივთი გაყოფის შემდეგ ინარჩუნებს მის პირვანდელ ფუნქციას, იგი გაყოფადია. ნივთები, რომლები გაყოფის შემთხვევაში არსებითად ზიანდებიან (სარკე, ძვირფასი ქვები) ანდა საერთოდ ნადგურდებიან, ეს ნივთები გაუყოფადია. მაგალითად: თუ 100 ლიტრა ღვინოს ჩავასხამთ თითოლიტრიან ბოთლებში, იგი მთავარ ფუნქციას არ დაკარგავს, ამიტომაც ღვინო კლასიფიცირდება როგორც გაყოფადი ნივთი. დამკვიდრებული პრაქტიკით, ნივთის შემადგენელი ნაწილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციები, თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ თვით ნივთის სამეურნეო დანიშნულება. ამ შემთხვევაში ნივთები ერთმანეთთან მიზნობრივადაა დაკავშირებული და ისინი წარმოადგენენ ერთიან ნივთს. გამონიაკლისია მიწის ნაკვეთთან დროებითი მიზნებით დაკავშირებული ნივთები. ნივთის შემადგენელი ნაწილი ყოველთვის უნდა იყოს დაკავშირებული მეორე ნივთთან, ზამთრის საბურვები, რომლებიც შენახულია საჭირო სარგებლობისთვის ვერ ჩაითვლება არსებით შემადგენელ ნაწილად. მნიშვნელოვანია ნივთებს შორის კავშირის დადგენა, მტკიცეა ის თუ სუსტი. ერთი ნივთის შემადგენელი ნაწილი შეიძლება შედგებოდეს სხვა ბევრი შემადგენელი ნაწილისაგან.

ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილს განსაზღვრავს არა ის, რაც ამ ნივთის არსებას განსაზღვრავს, არამედ ის, რაც სამართლებრივად დაკავშირებულია ნივთთან და არ წარმოადგენს გასაკუთრებული უფლების ობიექტს. იგი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი. მაგ: თუ ყიდულობ მიწას, ივარაუდება, რომ ყოდულობ მასთან დაკავშირებულ შენობა- ნაგებობებსაც... თუ გამოვყოფთ არსებით შემადგენელ ნაწილს, მაშინ გაჩნდება დამოუკიდებელი საკუთრების უფლება და შესაძლებელი იქნება მისი განკარგვა, დაგირავება... 150-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ნივთის შემადგენელი ნაწილია ის, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე. განადგურება სარგებლიანობის დაკარგვას გულისხმობს. მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ ნივთები, რომლებიც მყარად არიან დაკავშირებული მიწასთან. არა მარტო შენობა-ნაგებობანი, არამედ ის ნივთებიც, რომელთა გამოცალკევებაც მიწისგან დიდ ძალისხმევასა და ხარჯებთანაა დაკავშირებული. არ ჩაითვლება მიწის არსებით შემადგენელ ნაწილად ის ნივთები, რომლებიც დროებითაა დაკავშირებული მასთან, გარდამავალი მიზნებისთვის. ნივთის არაარსებით ნაწილად ჩაითვლება ყველა ის შმეადგენელი ნაწილი, რომელიც არაა არსებითი 150 - ე მუხლის თანახმად. მაგ: სერიულად გამოშვებული ტექნიკური მოწყობილობების ადვილად გაცვლადი ნივთები.

ორქულიანი საკითხები

1. **ამომწურავია თუ არა კანონით გათვალისწინებული სანივთო უფლების ჩამონათვალი?**
   სანივთო უფლებები numerous clausus-ის პრინციპითაა განსაზღვრული. ეს იმას ნიშნავს, რომ სანივთო უფლებათა წრე კანონით ამომწურავადაა განსაზღვრული. არსებობს იმდენი სანივთო

უფლება, რამდენიც კანონითაა განსაზღვრული. ესენია: საკუთრება , აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი , გირავნობა, იპოთეკა.

2. **რას გულისხმობს სანივთო უფლებათა აბსოლუტური ხასიათი?**
   სანივთო უფლება აბსოლუტური უფლებაა, ვალდებულებითი კი შეფასებითი. ეს იმას ნიშნავს, რომ აბსოლუტური უფლების წინაშე ყველა პირი ვალდებული პირია, მაშინ როცა შეფასებითი უფლების მატარებელს უპირისპირდება განსაზღვრული პირი, როგორც კონკრეტულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი .
3. **რა მიზანს ემსახურება სანივთო უფლებათა საჯაროობისა და განსაკუთრებული ნდობაუნარიანობის პრინციპი?**
   სანივთო უფლება ისეთ ფორმაში მოიპოვებს გამოხატულებას., რომ იგი ადვილად შესამჩნევი ხდება ყოველი დაინტერესებული პირისათვის. ეს კი მიიღწევა სანივთო უფლებათა საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.
   რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისწორის პრეზუმფცია(რეესტრის ჩანაწერები იქამდე ითვლება ნამდვილად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა), რათა დაცული იყოს კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები.
4. **განსაზღვრეთ რას გულისხმობს სანივთო უფლების მიდევნებისა და მიყოლის თვისება?**
   სანივთო უფლება მიყვება ნივთს, როცა იგი სხვა პირის ხელში გადადის. მაგალითად, თუ ნივთზე საკუთრების უფლება სერვიტუტით, ან გირავნობითაა დატვირთული, ნივთის ახალი მესაკუთრის ხელშიც იგივე მდგომარეობა გვექნება.

5. **როგორია სანივთო სამართლის სისტემა?**
6. **განსაზღვრეთ ქონების ცნება სანივთო სამართლის მიხედვით;**

   ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შემენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრზალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს .

7. **გამიჯნეთ მატერიალური და არამატერიალური ქონება ;**
   არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ

   მფლობელებს შეექმნათ მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიქოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.
   ქონება მხოლოდ ისეთი მატერიალური საგნებია, რომელთა დაუფლებაც ფიზიკურად არის შესაძლებელი.
8. **გამიჯნეთ მოძრავი და უძრავი ნივთები;**
   უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი, მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები,ასევე შენობანაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.
   ყველა დანარჩენი, რისი გადაადგილებაც შესაძლებელია, განიხილება, როგორც მოძრავი ნივთი.

9. **მოიყვანეთ ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის სამართლებრივი მახასიათებელი;**
   არსებითი შემადგენელი ნაწილი ნივთის შემადგენელი ნაწილია, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის, ან ამ ნაწილის განადგურების, ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე.
   მიწის ნაკვეთის არს.შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობანაგებობანი და ნივთები,რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწსთან და არ არის განსაზღვრული დროებითი სარგებლობისთვის.
10. **რას ეწოდება ნივთის საკუთვნებელი?**
   საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი,მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის,დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით,რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად.

11.შევაფასოთ უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის წესში ცვლილებები, რომლითაც საკუთრების გადაცემა გახდა არ ასავალდებულო;

12.განსაზღვრეთ აქსესორული და შეზღუდული უფლებები;

აქსესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს . შეზღუდულია უფლება, რომელიც ნაწარმოებია იმ უფრო ფართო უფლებისაგან, რომელიც დატვირთულია ამ შეზღუდული უფლებით .

13.რა პრეზუმფციაში პოულობს ასახვას მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით მფლობელობის ფაქტი;

ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. მფლობელობაში მესაკუთრის ვარაუდი დაშვებულია მხოლოდ მოძრავ ნივთებთან მიმართებაში , ეს წესი არ გამოიყენება იმ ნივთების მიმართ, რომელთა მესაკუთრე საჯარო რეესტრის მიერ უნდა გამოვლინდეს.

14.როგორია მფლობელობის კოდექსისეული ცნების ნიშნები;

მფლობელობის კოდექსისეული ცნებით, მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით.

15.რა სამართლებრივი მახასიათებლებით ემიჯნება ერთმანეთს მართლზომიერება და არამართლზომიერება და კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება;

16.გამიჯნეთ პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა;

თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად. ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად.

17.განსაზღვრეთ საკუთრების უფლების ცნება;

საკუთრება არის ნივთზე სრული ბატონობის უფლება. მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი, ან სხვაგვარი , კერძოდ სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით(ნივთით), არ დაუსვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუ ამით არ ილახება სხვა მესამე პირთა

უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

18.დაახასიათეთ საკუთრება, როგორც აბსოლუტური უფლება;

19.სანივთო სამართლებრივი მახასიათებლები;

20.უფლების ბოროტად გამოყენების სამართლებრივი არსი;

დაუშვებელია უფლების გამოყენება მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიზანი მიადგეს სხვას. უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.

21.რას ეწოდება ემისიები?

ემისიის ცნებაში იგულისხმება ყველა ის ზემოქმედებანი, რაც მიწის ერთი ნაკვეთიდან მეორეზე ვრცელდება და გარკვეული აზრით ზიანს აყენებს მას.

22.როგორი ემისიები ექვემდებარება თმენის ვალდებულებას?

თმენის ვალდებულებას ექვემდებარება <u>არაარსებითი</u> ემისიები(სინათლე, სითბო) , არსებითი ემისიები კი მხოლოდ გარკვეულ შემთბვევაში ექვემდებარება თმენის ვალდებულებას.

23.როდის ჩაითვლება ნაყოფი მეზობელი მიწის საკუთრებად?

თუ ხის, ან ბუჩქის ნაყოფი მეზობელ მიწის ნაკვეთზე დავარდა, იგი ჩაითვლება ამ ნაკვეთის ნაყოფად.

24.რა შემთხვევაში ითვალისწინებს კანონი ფულად კომპენსაციას თმენის ვალდებულებისათვის?

თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მშენებლობის დროს განზრახვის გარეშე გადასცდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებს,მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრემ ეს უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის შესახებ წინასწან ან შეტყობისთანავე განაცხადა. საზღვრის დამრღვევი მეზობელი ვალდებულია გადაიხადოს ფულადი კომპენსაცია,რომელიც ყოველწლიურად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი.

25.არსებითი და არაარსებითი ემისიების გამიჯვნა;

არაარსებითი ემისიების თმენის ვალდებულება უპირობოა, არსებითები კი მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ექვემდებარებიან თმენის ვალდებულებას. არსებითის დროს, მეზობელს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

26.რა უფლებამოსილებანი აკისრია მეზობლებს სასაზღვრო მიჯნის აღმართვისათვის?

მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, შეუძლია მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს მონაწილეობის მიღება მყარი სასაზღვრო მიჯნის აღმართვაში, ან უკვე არსებული , მაგრამ წაშლილი და დაზიანებული მიჯნის აღდგენაში ხარჯები თანაბრად ნაწილდება. თუ შეუძლებელია ზუსტი მიჯნის დადგენა, მაშინ მნიშვნელობა ენიჭება მეზობლების ფაქტობრივ მფლობელობას, თუ შეუძლბელია ფაქტობრივი მფლობელობის ზუსტი დადგენა, მაშინ სადავო ნაკვეთი თანაბრად განაწილდება მეზობლებს შორის, თუ ეს განაწილება იწვევს უსამართლო შედეგს, მაშინ საზღვარს დაადგენს სასამართლო.

27.რა წინაპირობებია მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად?

მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად საჭიროა:

1.მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი.

2.ნივთის გადაცემად ითვლება: შემძენისტვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.

28.რა შეიძლება იყოს სანივთო სამართლებრივი უფლების ობიექტი?

სანივთო სამართლებრივი უფლების ობიექტი შეიძლება იყოს ქონება, ანუ ყველა მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა , სარგებლობა და განკარგვა შეუძლია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი იგი არ ეწინააღმდეგება კანონს ან ზნეობრივ ნორმებს .

29.წარმოაჩინეთ სანივთო სამართლებრივი და ვალდებულებით სამართლებრივი გზის უფლების ურთიერთმიმართება, განასხვავეთ სამართლებრივი შედეგის მიხედვით;

ვალდებულებითი ურთიერთობის ობიექტია მოქმედება, სანივთოსი კი ნივთი მატერიალური აზრით; სანივთო უფლება აბსოლუტური უფლებაა , ვალდებულებითი კი შეფარდებითი, სანივთო უფლებებს ახასიათებთ მიდევნების, გადაცემადობის თვისება, ანუ სანივთო უფლება მიყვება ნივთს, როცა იგი სხვა პირის ხელში გადადის. სანივთო უფლება NUMERUS CLAUSUS პრინციპითაა განსაზღვრული და აგრეთვე , ახასიათებს საჯაროობა და განსაკუთრებული ნდობაუნარიანობა. ვალდებულებითი უფლებისაგან განსხვავებით, სანივთო უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ხდება.

30. ვინდიკაციისა და ნეგატორული სარჩელის დახასიათება და განსხვავება სამართლებრივი არსის მიხედვით.

ვინდიკაციური სარჩელის დროს , თუ ნივთი მესაკუთრის ხელიდან მისი ნების გარეშე გამოდის , კეთილსინდისიერი შემძენიც ვალდებულია დაუბრუნოს იგი მესაკუთრეს, ხოლო თუკი ეს ხდება მესაკუთრის ნებით, მაშინ კეთილსინდისიერი შემძენი მხოლოდ მაშინ აბრუნებს ნივთს, თუკი მან ეს ნივთი უსასყიდლოდ მიიღო. ნეგატორული სარჩელი სახეზეა მაშინ , როდესაც ნივთი მესაკუთრესთანაა, მაგრამ ხელს უშლიან მის გამოყენებაში. ვინდიკაციის დროს, მხარეს არ შეუძლია სასამართლოში მისვლა და ნივთის უკან დაბრუნება, ნეგატორულის დროს კი ეს უფლება გააჩნია.